

დამტკიცებულია 16.09.2018წ. აკადემიური საბჭოს დადგენილებით *ა.ბ.ო.*



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესს, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით მიღებული ინფორმაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი.
- გ) სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

დ) შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა

ე) აკადემიური პერსონალის/მოწვეული პერსონალის/პრაქტიკოსი სპეციალისტის დარგობრივი ცოდნა და პედაგოგიური უნარები

ვ) აკადემიური პერსონალის/მოწვეული პერსონალის/პრაქტიკოსი სპეციალისტის მხრიდან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების ცოდნა

ზ) სტუდენტების მომზადების დონე /საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩატარების პერიოდულობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ტარდება სემესტრულად ან/და საჭიროებისამებრ

2. სხვადასხვა სასწავლო წლის შედეგების შედარების, პროგრამულ დონეზე ან სწავლებისა თუ შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის მიზნით რეგულარულად მუშავდება სტატისტიკური მონაცემები

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩატარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩატარება მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს.
2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის განყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან/ერთეულებთან და დარგის სპეციალისტთან თანამშრომლობით.
3. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის განყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან/ერთეულებთან თანამშრომლობით.
4. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება შეფასების უწყისების მონაცემების ანალიზს.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) საუკეთესო სტუდენტების (91 -100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ბ) დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების (51-60 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

გ) საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტების:

1. (81-90 ქულა) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%
2. (71-80 ქულა) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 30%
3. (61-70 ქულა - რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%

მუხლი 6. ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგად 91-ზე მეტი ქულის მქონე სტუდენტთა ძირითადი ნაწილის არსებობის შემთხვევაში მიიღება შემდეგი დასკვნა:

ა) სტუდენტები გენიოსები არიან



ბ) პროგრამა მარტივია

გ) ლექტორი ლიბერალურია სტუდენტების შეფასებისას ან შეფასების არაადეკვატურ ფორმებს იყენებს.

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან შედარებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში მიიღება შემდეგი დასკვნა:

ა) მაგისტრატურაზე ხდება საუკეთესო სტუდენტების შერჩევა

ბ) მაგისტრატურაზე სტუდენტთა სწავლის მოტივაცია განსხვავებულია ბაკალავრიატისაგან: მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას

გ) ტრადიციულად მაგისტრატურაში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, რაც სტუდენტებთან მუშაობის უკეთეს პირობებს ქმნის.

3. სემესტრის განმავლობაში სტუდენტების უმრავლესობის მიერ ყველა სასწავლო კურსში მხოლოდ უმაღლესი შეფასებისას, მიიღება შემდეგი დასკვნა:

ა) პროგრამა მარტივია და საჭიროა მისი გართულება.

4. სემესტრის განმავლობაში სტუდენტების უმრავლესობის მიერ ყველა სასწავლო კურსში მხოლოდ დაბალი შეფასებისას მიიღება შემდეგი დასკვნა:

ა) საჭიროა პროგრამების შესაბამისი ადაპტირება.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზი ხორციელდება კომპლექსურად:

ა) სტუდენტთა მოსწრება ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში

ბ) ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების ერთი და იმავე ჯგუფის მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შედარებითი ანალიზი.

გ) პროფილის მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი

სტუდენტთა შიდა და საუნივერსიტეტო მობილობის პირობებში ძირითადი სპეციალობისაგან სრულიად განსხვავებული პროფილის (დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტები) სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის მონაცემების საჯაროობა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომი



მუხლი 9. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

